ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.3 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია) დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

2018 წლის 1 იანვრიდან სესხის გაუფასურების რეზერვის შესაქმნელად გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი (ECL), კერძოდ ვადაგადაცდილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე გამოიყენება სხვა კრიტერიუმებიც, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურისაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. გარდა ამისა, მოდელში გამოიყენება საპროგნოზო მაკროეკონომიკური ინფორმაცია და ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD).

4.4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანია ფულადი სახსრების ანგარიშგებას წარადგენს პირდაპირი მეთოდით. წინა საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წარადგენდა არაპირდაპირი მეთოდით, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის უფრო თვანათელი ინფორმაციის მიწოდების გამო, კომპანიამ შეცვალა წარდგენის მეთოდი.

4.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამომანგარიშებელია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან.

ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავტო და სხვა ინვენტარი	20%
კაპიტალური შეკეთებები	10%-20%

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

4.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ზარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ევრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ზარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

4.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ზარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.9 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

4.10 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებისა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომელიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ზორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელს უცხოურ ვალუტაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

4.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მოწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.12 სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი: კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დღევანდები: დღევანდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეყნება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დღევანდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება.

4.13 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

4.14 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

4.15 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთები მოცემულია ცხრილში:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040
1 GBP/GEL	3.2581	4.1737

4.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.17 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- გ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ ჯგუფმა აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წამგებიანი იქნება თუ არა.

ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

4.18 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკაცრად ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;
- ე) ბასს 8-ის შესწორებები - ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.18 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად" - ბასს 1 -ი "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა და - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

ჯგუფი არ მოელის სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები - "სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;
- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;
- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდება, თუ გადახედვა შემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

გ) ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა

როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორიცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

დ) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებიდან ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფასს 9-დანერგვამ. სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებები აისახა 2018 წლის 1 იანვარს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებაზე:

დეფოლტის ალბათობა (PD): წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი. სამომავლო მოლოდინები დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური სცენარებით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება (გაგრძელება)

ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (LGD): წარმოადგენს შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL): მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას გამოყენებულია გონივრული და ფაქტებით გამყარებული საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

ე) გადასახადები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება მხოლოდ ეროვნული ვალუტით რეზიდენტ ბანკში განთავსებული სახსრებისგან 363,239 და 349,487 ლარის ოდენობით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. ჯგუფის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB - ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა 7 გაცემული სესხები, წმინდა

კომპანია სესხებს გასცემს ფიზიკურ პირებზე. კომპანია სესხებს გასცემს ლარში 1 თვიდან 5 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური ეფექტური პროცენტი ძირითადად მერყეობს 22 პროცენტთან 50 პროცენტამდე. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მოძრავი ქონებით და თავდებობით, თუმცა არის არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

მომხმარებელზე გაცემული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
კლიენტზე გაცემული სესხები	11,154,043	10,865,466
მისაღები პროცენტი	308,197	301,739
მისაღები ჯარიმა	41,822	43,202
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(311,712)	(236,978)
სულ წმინდა გაცემული სესხები	11,192,350	10,973,429

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები, წმინდა (გაგრძელება)

გაცემული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება შემდეგი ტიპის სესხებისგან:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ბიზნეს სესხი	5,864,684	7,542,285
აგრო სესხი	1,529,127	2,099,778
სამომხმარებლო სესხი	1,683,663	-
ავტო სესხი	1,823,935	1,083,803
იპოთეკური სესხი	541,388	414,917
ონლაინ სესხი	61,265	69,624
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(311,712)	(236,978)
სულ წმინდა გაცემული სესხები	11,192,350	10,973,429

ინფორმაცია სესხების პორტფელის ხარისხის შესახებ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

31 დეკემბერი 2022	ბიზნეს სესხი	სამომ. სესხი	აგრო სესხი	ავტო სესხი	იპოთეკური სესხი	ონლაინ სესხი	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული	5,605,359	1,683,663	1,452,684	1,776,218	487,627	73	11,005,624
კოლექტიურად გაუფასურებული სესხები	259,325	-	76,443	47,717	53,761	61,192	498,438
სულ	5,864,684	1,683,663	1,529,127	1,823,935	541,388	61,265	11,504,062
გაუფასურებული რეზერვი	(161,338)	-	(41,442)	(28,097)	(49,075)	(31,760)	(311,712)
სულ გაცემული სესხები	5,703,346	1,683,663	1,487,685	1,795,838	492,313	29,505	11,192,350

31 დეკემბერი 2021	ბიზნეს სესხი	აგრო სესხი	ავტო სესხი	იპოთეკური სესხი	ონლაინ სესხი	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული	7,340,725	2,073,515	1,052,694	344,978	3,480	10,815,392
კოლექტიურად გაუფასურებული სესხები	201,560	26,263	31,109	69,939	66,144	395,015
სულ	7,542,285	2,099,778	1,083,803	414,917	69,624	11,210,407
გაუფასურებული რეზერვი	(120,309)	(14,163)	(8,530)	(60,710)	(33,266)	(236,978)
სულ გაცემული სესხები	7,421,976	2,085,615	1,075,273	354,207	36,358	10,973,429

ინფორმაცია სესხის უზრუნველყოფის შესახებ 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31 დეკემბერი 2022	ბიზნეს სესხი	სამომ. სესხი	აგრო სესხი	ავტო სესხი	იპოთეკური სესხი	ონლაინ სესხი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,214,874	443,250	232,969	-	-	61,265	1,952,358
სესხი რომელიც უზრუნველყოფილია:							
უძრავი ქონებით	2,762,344	722,833	563,049	-	541,388	-	4,589,614
მოძრავი ქონებით	400,278	65,782	138,369	1,823,935	-	-	2,428,364
თავდღებით	1,487,188	451,798	594,740	-	-	-	2,533,726
სულ	5,864,684	1,683,663	1,529,127	1,823,935	541,388	61,265	11,504,062
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(161,338)	-	(41,442)	(28,097)	(49,075)	(31,760)	(311,712)
სულ გაცემული სესხები	5,703,346	1,683,663	1,487,685	1,795,838	492,313	29,505	11,192,350

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები, წმინდა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2021	ბიზნეს სესხი	აგრო სესხი	ავტო სესხი	იპოთეკური სესხი	ონლაინ სესხი	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,556,677	236,853	-	-	69,624	1,863,154
სესხი რომელიც უზრუნველყოფილია:						-
უძრავი ქონებით	3,699,715	652,996	-	414,917	-	4,767,628
მოდრავი ქონებით	311,239	98,477	1,083,803	-	-	1,493,519
თავლებით	1,974,654	1,111,452	-	-	-	3,086,106
სულ	7,542,285	2,099,778	1,083,803	414,917	69,624	11,210,407
გამოკლებული: შესადლო დანაკარგების რეზერვ	(120,309)	(14,163)	(8,530)	(60,710)	(33,266)	(236,978)
სულ გაცემული სესხები	7,421,976	2,085,615	1,075,273	354,207	36,358	10,973,429

რეზერვის მოძრაობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	(236,978)	(242,465)
ცვლილება წლის განმავლობაში	(74,734)	5,487
31 დეკემბრის მდგომარეობით	(311,712)	(236,978)

შენიშვნა 8 ძირითადი საშუალებები

2022 წელი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კაპიტალური შეძენებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	142,343	102,341	233,518	478,202
ზრდა	1,862	-	-	1,862
შემცირება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	144,205	102,341	233,518	480,064
ზრდა	3,477	299	33,019	36,795
შემცირება	-	-	(35,941)	(35,941)
31 დეკემბერი 2022	147,682	102,640	230,596	480,918
აკუმულირებული ცვეთა				
31 დეკემბერი 2020	(68,218)	(62,392)	(126,931)	(257,541)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(13,479)	(15,349)	(37,642)	(66,470)
31 დეკემბერი 2021	(81,697)	(77,741)	(164,573)	(324,011)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(13,471)	(12,583)	(15,403)	(41,457)
გასვლა	-	-	19,688	19,688
31 დეკემბერი 2022	(95,168)	(90,324)	(160,288)	(345,780)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	74,125	39,949	106,587	220,661
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	62,508	24,600	68,945	156,053
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,514	12,316	70,308	135,138

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 9 აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საბალანსო ღირებულება	საოფისე ფართი
31 დეკემბერი 2020	797,761
ზრდა	96,106
31 დეკემბერი 2021	893,867
ზრდა	76,662
შემცირება	(153,758)
31 დეკემბერი 2022	816,771
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	(291,045)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(179,376)
31 დეკემბერი 2021	(470,421)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(184,275)
გასვლა	120,513
31 დეკემბერი 2022	(534,183)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	506,716
31 დეკემბერი 2021	423,446
31 დეკემბერი 2022	282,588

შენიშვნა 10 გადავადებული საგადასახადო აქტივები

გადავადებული საგადასახადო აქტივი შედგება შემდეგი დროებითი სხვაობებისგან:

	31-დეკ-21	აღიარებული მოგება ზარალში	31-დეკ-22
გაცემული სესხები, წმინდა	(111)	(28,557)	(28,668)
აქტივის გამოყენების უფლება	(63,517)	35,876	(27,641)
აქტივები	4,183	(6,840)	(2,657)
სხვა აქტივები	111	(111)	-
სასესხო ვალდებულებები	-	(345)	(345)
საიჯარო ვალდებულებები	70,974	(24,004)	46,970
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,363	(2,118)	1,245
საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი სარგებელი	236,392	(46,508)	189,884
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	251,395	(72,607)	178,788

	31-დეკ-20	აღიარებული მოგება ზარალში	31-დეკ-21
გაცემული სესხები, წმინდა	(63,381)	63,270	(111)
აქტივის გამოყენების უფლება	(76,007)	12,490	(63,517)
აქტივები	(764)	4,947	4,183
სხვა აქტივები	217	(106)	111
სასესხო ვალდებულებები	82,549	(82,549)	-
საიჯარო ვალდებულებები	86,186	(15,212)	70,974
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,363	-	3,363
საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი სარგებელი	267,052	(30,660)	236,392
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	299,215	(47,820)	251,395

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 გადავადებული საგადასახადო აქტივები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და მოგების გადასახადი რეკონსილაცია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
მიმდინარე წლის საგადასახადო (ზარჯი)/სარგებელი	(53,368)	(30,661)
გადავადებული საგადასახადო (ზარჯი)/სარგებელი:		
გადავადებული მოგების სარგებელი გამოწვეული დროებითი სხვაობების წარმოქმნით და ამორუნებით	(19,239)	(17,159)
მოგების გადასახადის (ზარჯი)/სარგებელი	(72,607)	(47,820)

	2022	2021
ფინანსური მოგება დაბეგვრანდე	310,054	270,522
მოგების გადასახადის სარგებელი 15% იანი განაკვეთით	(46,508)	(40,578)
დაუბეგვრავი შემოსავალი და სხვა სხვაობები	(26,099)	(7,242)
მოგების გადასახადის (ზარჯი)/სარგებელი	(72,607)	(47,820)

შენიშვნა 11 მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს კომპანიის კლიენტებისგან სასესხო ვალდებულებების დასაფარად წინასწარ ჩარიცხულ თანხებს და 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 69,587 და 115,145 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 12 სასესხო ვალდებულებები

კომპანიის მიღებული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მსესხებელი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31-დეკ-22	31-დეკ-21
იურიდიული პირი	12%	აშშ დოლარი	1-აპრ-2023	239,796	963,027
ფინანსური ინსტიტუტი	16%	ლარი	3-ნოე-2023	300,136	-
ფინანსური ინსტიტუტი	17%	ლარი	30-დეკ-2024	3,001,438	3,013,973
დაკავშირებული მხარე	9%	აშშ დოლარი	15-მარ-2024	794,096	794,315
დაკავშირებული მხარე	17%	ლარი	15-მარ-2024	503,726	503,726
დაკავშირებული მხარე	17%	ლარი	15-მარ-2024	1,007,452	1,007,452
დაკავშირებული მხარე	9%	აშშ დოლარი	15-მარ-2024	542,517	576,124
დაკავშირებული მხარე	9%	აშშ დოლარი	15-მარ-2025	1,576,611	1,577,052
დაკავშირებული მხარე	17%	ლარი	3-იან-2024	86,269	86,269
დაკავშირებული მხარე	17%	ლარი	3-იან-2024	43,134	43,135
დაკავშირებული მხარე	17%	ლარი	5-ივნ-2024	-	101,211
დაკავშირებული მხარე	15%	ლარი	22-იან-2024	203,205	203,205
დაკავშირებული მხარე	15%	ლარი	16-დეკ-2024	344,446	-
დაკავშირებული მხარე	12%	აშშ დოლარი	16-აპრ-2024	108,609	-
დაკავშირებული მხარე	15%	ლარი	15-ნოე-2024	60,370	-
დაკავშირებული მხარე	15%	ლარი	5-თებ-2024	103,625	103,618
დაკავშირებული მხარე	9%	აშშ დოლარი	9-დეკ-2024	95,079	-
სულ სასესხო ვალდებულებები				9,010,509	8,973,107

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 12 სასესხო ვალდებულებები (გაგრძელება)

სასესხო ვალდებულება შედგება შემდეგი სახის ვალდებულებებისგან:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ძირი	8,970,319	8,925,630
გადასახდელი პროცენტი	40,190	47,477
სულ სასესხო ვალდებულებები	9,010,509	8,973,107

სასესხო ვალდებულებების ცვლილება 2022 და 2021 წლებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	8,973,107	9,158,733
წლის განმავლობაში აღებული სასესხო ვალდებულებები	1,064,112	3,300,000
წლის განმავლობაში დაფარული სასესხო ვალდებულებები	(893,086)	(2,720,000)
სასესხო ვალდებულების ცვლილება წლის განმავლობაში	171,026	580,000
არაფულადი ნაკადი		
წლის საპროცენტო ხარჯი	1,258,042	1,191,187
გადახდილი პროცენტი	(1,238,761)	(1,862,629)
გადახდილი პროცენტის საშემოსავლო გადასახადი	(32,758)	(30,747)
კურსთაშორის სხვაობები	(120,147)	(63,437)
31 დეკემბრის მდგომარეობით	9,010,509	8,973,107

კომპანიას საკრედიტო ინსტიტუტიდან მიღებული სესხის სანაცვლოდ დაგირავებული აქვს 5,400,000 ლარის ოდენობით გაცემული სესხების პორთფელი.

შენიშვნა 13 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	141,225	211,709
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	144,898	261,454
სულ საიჯარო ვალდებულება	286,123	473,163

საიჯარო ვალდებულების ცვლილება 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	473,163	574,571
ზრდა	76,662	96,105
შემცირება	(33,667)	-
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	28,498	44,960
გადახდები წლის განმავლობაში	(213,312)	(218,055)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(45,221)	(24,418)
31 დეკემბერი 2021	286,123	473,163

შენიშვნა 14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
სავაჭრო ვალდებულებები	9,910	32,893
გადასახდელი ხელფასები	15,990	14,430
სულ სხვა ვალდებულებები	25,900	47,323

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიას 2022 და 2021 წლების განმავლობაში არ განუხორციელებია ცვლილება საწესდებო კაპიტალში და შეადგენს 3,700,000 ლარს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას.

2022 და 2021 წლებში დივიდენდი არ განაწილებულა.

კომპანია არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის 143/04 ბრძანების მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი საზედამხებელო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 1,000,000 ლარს. კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას.

შენიშვნა 16 საპროცენტო შემოსავალი

მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს, რომელმაც 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 3,169,652 ლარი (2021 წელი: 2,944,460 ლარი).

შენიშვნა 17 მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან

მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	167,660	97,850
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(3,840)	(9,785)
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან, წმინდა	163,820	88,065

შენიშვნა 18 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება 2022 და 2021 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
ხელფასი	967,157	932,177
ბონუსი	308,880	222,498
სულ შრომის ანაზღაურება	1,276,037	1,154,675

შენიშვნა 19 სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
საკონსულტაციო ხარჯი	45,637	34,106
კომუნალური ხარჯი	39,976	43,302
რეკლამის ხარჯი	32,457	32,179
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	28,992	24,545
დაცვის ხარჯი	21,091	17,546
კომუნიკაციის ხარჯი	16,748	17,188
საკანცელარიო ხარჯი	16,284	13,797
ლიცენზიის ხარჯი	13,000	11,738
წარმომადგენლობითი ხარჯი	7,425	5,409
საოფისე აღჭურვილობის ხარჯი	6,686	4,545
სხვა	11,354	16,651
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	239,650	221,006

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 20 ნაპატიები ჯარიმების ხარჯი

აღნიშნული ხარჯები წარმოადგენს მსესხებლებისთვის დაგვიანებული გადახდების გამო დარიცხული ჯარიმების ჩამოწერას, რომელიც მენეჯმენტთან შეთანხმებით იმ შემთხვევებში ხდება თუ მსესხებლების გააგრძელებენ სესხის ძირის და პროცენტის სრულად გადახდას. აღნიშნული ხარჯები კომპანიას წინა სანგარიშგებო პერიოდში დაკლასიფიცირებული ჰქონდა როგორც სესხის გაუფასურების რეზერვი, რაც მიმდინარე პერიოდში შეიცვალა და ცალკე მუხლად, უფრო სწორი ლასიფიკაციით გამოიყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები	363,239	349,487
კლიენტზე გაცემული სესხები	11,192,350	10,973,429
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	11,555,589	11,322,916

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისთვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ ღირებულებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი**

ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის სასესხო ვალდებულებებისგან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები მოწოდებულია კომპანიის ხელმძღვანელობისთვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

კომპანიას დაკავშირებული მხარეებიდან უცხოურ ვალუტაში მიღებულ სესხებზე მხარეთა შეთანხმებით დადგენილია კურსთაშორის სხვაობის ზედა ზღვარი. კერძოდ მხარეთა შეთანხმებით კომპანიას არ მოუწევს ვალუტის 15 პუნქტზე (15 პუნქტის ათვლა განისაზღვრება სესხის მიღების დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსიდან) მეტად გაუფასურების შემთხვევაში ანაზღაუროს 15 პუნქტს ზემოთ წარმოშობილი სავალუტო ზარალი.

31 დეკემბერი 2022	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	363,239	-	363,239
გაცემული სესხები	11,192,350	-	11,192,350
სულ ფინანსური აქტივები	11,555,589	-	11,555,589
ფინანსური ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	(5,653,801)	(3,356,708)	(9,010,509)
საიჯარო ვალდებულებები	(82,013)	(204,110)	(286,123)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(25,900)	-	(25,900)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,761,714)	(3,560,818)	(9,322,532)
ღია საბალანსო პოზიცია	5,793,875	(3,560,818)	2,233,057

31 დეკემბერი 2021	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	349,487	-	349,487
გაცემული სესხები	10,973,429	-	10,973,429
სულ ფინანსური აქტივები	11,322,916	-	11,322,916
ფინანსური ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	(5,062,589)	(3,910,518)	(8,973,107)
საიჯარო ვალდებულებები	(30,339)	(442,824)	(473,163)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(47,323)	-	(47,323)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,140,251)	(4,353,342)	(9,493,593)
ღია საბალანსო პოზიცია	6,182,665	(4,353,342)	1,829,323

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 15%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 15% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	31-დეკ-22	31-დეკ-21
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	(534,123)	(653,001)
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	534,123	653,001

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსური აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული

	31-დეკ-22	31-დეკ-21
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	11,192,350	10,973,429
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	(9,010,509)	(8,973,107)
სულ წმინდა მდგომარეობა	2,181,841	2,000,322

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუხაზვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტზე გაცემული სესხები	3,619,134	7,573,216	-	11,192,350
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	3,619,134	7,573,216	-	11,192,350
ფული და ფულის ეკვივალენტები	363,239	-	-	363,239
სულ ფინანსური აქტივები	3,982,373	7,573,216	-	11,555,589
ფინანსური ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	1,296,653	7,713,856	-	9,010,509
საიჯარო ვალდებულებები	141,225	144,898	-	286,123
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,437,878	7,858,754	-	9,296,632
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,900	-	-	25,900
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,463,778	7,858,754	-	9,322,532
ლიკვიდურობის სხვაობა	2,518,595	(285,538)	-	2,233,057
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	2,518,595	2,233,057	2,233,057	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2021	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტზე გაცემული სესხები	1,482,947	8,131,967	1,358,515	10,973,429
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	1,482,947	8,131,967	1,358,515	10,973,429
ფული და ფულის ექვივალენტები	349,487	-	-	349,487
სულ ფინანსური აქტივები	1,832,434	8,131,967	1,358,515	11,322,916
ფინანსური ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	963,027	8,010,080	-	8,973,107
საიჯარო ვალდებულებები	211,709	261,454	-	473,163
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,174,736	8,271,534	-	9,446,270
საგაპრო და სხვა ვალდებულებები	47,323	-	-	47,323
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,222,059	8,271,534	-	9,493,593
ლიკვიდურობის სხვაობა	610,375	(139,567)	1,358,515	1,829,323
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	610,375	470,808	1,829,323	

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურიდიულის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

შენიშვნა 22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	მიღებული სესხი	
31-დეკ-2022		
მეწილეები		5,469,139
სულ		5,469,139
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
2022 წელი		
მეწილეები	657,468	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	106,730
სულ	-	657,468
	106,730	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	მიღებული სესხი
მეწილეები	4,996,107
სულ	4,996,107

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	618,499	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	95,222
სულ	618,499	95,222

შენიშვნა 23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2023 წლის 5 მაისს კომპანიასა და სს ბაზისბანკს შორის გაფორმა გენერალური სასესხო ხელშეკრულება 10,000,000 დოლარის სასესხო მოცულობის შესახებ. ასევე ამ თარიღში აღნიშნულ ბანკთან გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 1,000,000 ლარის მოცულობის სესხზე რომელიც მოქმედია 2024 წლის 7 მაისამდე.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“

მმართველობის ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	4
2. ფილიალები და შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი	5
3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა.....	7
4. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.....	8
5. შპს ფინანსური მაჩვენებლები და სამომავლო გეგმები.....	8
6. ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 23 ივნისს რომელიც მოიცავდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2023 წლის 2 ოქტომბერს წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 2023 წლის 2 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო



1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

ორგანიზაცია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“-ი ს/კ 405152551 (შემდგომში – “კომპანია”) წარმოადგენს “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონისა და “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონის, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

დაფუძნდა 2016 წლის 02 ივნისს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი ეროვნულ ბანკისგან მიენიჭა 2017 წლის 30 ივნისს, განკარგულება #619 თანახმად.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

ზვიად შანავა პ/ნ 19001094896	50%
ბესიკ ტრაპაიძე პ/ნ 01030014806	18%
დავითი ბობოხიძე პ/ნ 53001021882	32%

შპს-ს სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. **ზვიად შანავა (პ/ნ 19001094896)** - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
2. **ბესიკ ტრაპაიძე (პ/ნ 01030014806)** - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი /
თავმჯდომარის მოადგილე
3. **ზურაბი სესიტაშვილი (პ/ნ 01013031570)** - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კომპანიის დირექტორი არის დავითი ბობოხიძე (პ/ნ 53001021882). კომპანიამ ფუნქციონირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით დაიწყო 2017 წლის 30 ივნისიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული კომპანია აქტიურად აწვდის ფილიალების ქსელს, მომსახურების ხარისხს და თანამშრომელთა რაოდენობას. დღესდღეობით კომპანია ფლობს 4 ფილიალს (სათაო ოფისის გამოკლებით), ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა უტოლდება 42 (ორმოცდაორი) თანამშრომელს. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებასა და კომპეტენტურობას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. ფილიალები და შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ., № 46 / ბალანჩივაძეების ქ., № 41, ხოლო ფაქტობრივი მისამართია თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240.

დღევანდელი მდგომარეობით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდაფი“-ს, გარდა სათაო ოფისისა, აქვს ოთხი მოქმედი ფილიალი:

1. **სერვის ცენტრი #1**, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, სლავა მეტრეველის ქ. #4-ში.
2. **სერვის ცენტრი #2**, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #51-ში. გახსნის მიზანი იყო ბაზრების გაფართოება და ახალი კლიენტების მოზიდვა, მომხმარებლისთვის საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება, ამ ფილიალის მოქმედება ვრცელდება ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონზე.
3. **სერვის ცენტრი #3**, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთაველაში, ჟიული შარტავას გამზირი #11ა. ფილიალის გახსნის მიზანი იყო კომპანიის საქმიანობის სფეროების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება, ისეთის როგორიცაა რუსთავი, მარნეული, დედოფლისწყარო და სრულებით ქვემო ქართლი.
4. **სერვის ცენტრი #4**, რომელიც მდებარეობს ქ. გორში, კურტანიძის ქ. #2-ში. გახსნის მიზანი იყო ბაზრების გაფართოება და ახალი კლიენტების მოზიდვა, მომხმარებლისთვის საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება, შიდა ქართლის რეგიონში, განსაკუთრებით გორის რაიონში.

თითოეული ფილიალის არსებობასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში. ახალი ფილიალების დამატებით ხდება ახალი ბაზრების ათვისება

და ახალი კლიენტების მოძიება, იზრდება კომპანიის ცნობადობა. ყოველივე ეს იწვევს საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის ზრდას, როგორც ადგილმდებარეობის, ასევე შეთავაზებული სასესხო პროდუქტების მიხედვით. რაც, თავის მხრივ, ამცირებს რისკებს და მეტად სტაბილურს ხდის კომპანიის საქმიანობას.

დღეის მდგომარეობით კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სამომხმარებლო, ბიზნეს და აგრო სესხებს, უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებების იპოთეკა/გირავნობით. ასევე ბიზნეს სესხებს, რომელიც უზრუნველყოფილია მხოლოდ თავდებობით.

რაც შეეხება ონლაინ სესხებს, 2018 წლის შემოდგომაზე მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო კომპანიამ შეაჩერა ონლაინ სესხების გაცემა და ამ პროდუქტით მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა.

არსებულ პროდუქტებზე პირობები და საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირია:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“
მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ბიზნეს სესხი

- სესხის თანხა: 300 დან 100 000 ლარამდე
- სესხის ვადა: 04 თვიდან 84 თვემდე
- სესხის ვალუტა: ლარი

აგრო სესხი

- სესხის თანხა: 300 დან 100 000 ლარამდე
- სესხის ვადა: 4 თვიდან 84 თვემდე
- სესხის ვალუტა: ლარი

ავტო სესხი

- სესხის თანხა: 300 დან 100 000 ლარამდე
- სესხის ვადა: 3 თვიდან 60 თვემდე
- სესხის ვალუტა: ლარი

იპოთეკური სესხი


- სესხის თანხა: 300 დან 100 000 ლარამდე
- სესხის ვადა: 4 თვიდან 120 თვემდე
- სესხის ვალუტა: ლარი

სამომხმარებლო სესხი


- სესხის თანხა: 300 დან 100 000 ლარამდე
- სესხის ვადა: 4 თვიდან 36 თვემდე
- სესხის ვალუტა: ლარი

აღნიშნული სესხების ერთი წლის მაჩვენებელი რაოდენობრივი, მოცულობითი და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში.

გაცემული სესხების მოცულობა



გაცემული სესხების მოცულობა



3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა


ცალკე უნდა აღინიშნოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ჩვენი ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება.

2021 წლის 09 მარტს ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ბრძანება N 32/04 „ფინანსური ორგანიზაციების მიერ

მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული წესით განსაზღვრული საკითხების უმრავლესობა ბრძანების გამოქვეყნებამდე მოქმედებდა ჩვენს ორგანიზაციაში, შესაბამისად უმტკივნეულოდ და მაქსიმალურად სწრაფ ვადებში შევძელით ბრძანებით განსაზღვრული საკითხების დანერგვა და ამოქმედება.

4. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.

კომპანია მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს მიკროსაფინანსო ბაზარზე მომხმარებელს და შესაბამისად დაარეგულიროს საპროცენტო განაკვეთები. რაც თავის მხრივ მიბმულია საერთო საფინანსო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და მის მიერ ბანკებისგან მოზიდულ სახსრებზე არსებულ განაკვეთებზე. რადგან მიკროსაფინანსო ბაზარი მაღალ რისკიან ბაზარს წარმოადგენს, აღნიშნული რისკი მეტნაკლებად დაბალანსებულია საბანკო პროდუქტებთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით



5. ფინანსური მაჩვენებლები და სამომავლო გეგმები

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მიკროკრედიტების გაცემა მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

2017 წლამდე კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენდა ლარი, სესხების გაცემა ხდებოდა მხოლოდ აღნიშნულ ვალუტაში, 2017 წლიდან ლარიზაციის რეფორმის და სრულიად საფინანსო სექტორში მიმდინარე ცვლილებების გამო კომპანიას მოუწია ფიზიკურ პირებზე დაკრედიტების სისტემის შეცვლა და სრულად ლარის სესხებზე გადასვლა, რამაც დიდი გავლენა იქონია მის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

საოპერაციო შემოსავლების წილი მთლიან დასაბეგრ შემოსავლებში 95%-მდეა. რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ძირითად საქმიანობაზე, ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე მოდის და შესაბამისად შედგება საკრედიტო პორტფელიდან მიღებულ საპროცენტო

და საკომისიო შემოსავლებისგან.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1 000 000 (ერთ მილიონ ლარს), მოგვიანებით 2018 წლის სექტემბერში კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 2 700 000 (ორი მილიონ შვიდასი ათასი) ლარით და საწესდებო კაპიტალის ჯამურმა თანხამ შეადგინა 3 700 000 (სამი მილიონ შვიდასი ათასი) ლარი;
 2022 წლის საოპერაციო ხარჯების ფარდობა დასაბეგრ საოპერაციო შემოსავლებთან შეადგენს 53%-ს.
 ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები.

ფინანსური კოეფიციენტები	2020	2021	2022
წმინდა მოგება/ხარჯები	-0.10	0.13	-0.07
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	-0.03	0.03	0.02
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	-0.12	-0.13	0.08
წმინდა მოგება/საშ.წლიურ მოზიდულ სახსრებთან	0.04	0.04	0.03

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“ სამომავლოდ გეგმავს, როგორც ახალი სასესხო პროდუქტების დანერგვას აგრეთვე არსებული სასესხო პროდუქტების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციის საკრედიტო პორტფელს და გაამყარებს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, ამ მიზნით ორგანიზაცია გეგმავს მოზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსიც. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციის სტაბილურ ობასა და მის მდგრადობას, რათა სამომავლოდ უკეთ დაიმკვიდროს თავი საფინანსო სექტორში.

6. ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

ლარიზაციის კანონის მიღების შემდეგ კომერციულმა ბანკებმა ეროვნული ბანკის დავალებით შეაჩერეს სესხების გაცემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. თუ მაინც გასცემდნენ სესხებს, გაიცემოდა წლიურ 15-17 %-ში.

პარალელურად ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსოებს შესთავაზა დოლარის მოკლე ვადით განთავსება დეპოზიტზე და ამ დეპოზიტის უზრუნველყოფით ლარის სესხის გაცემა რეფინანსირების განაკვეთს პლუს კომერციული ბანკის დამატებული პროცენტით. საერთო ჯამში ეს პროცენტი გამოდიოდა წლიური 13-14%. ამასთან ასეთი სესხები იყო მოკლევადიანი, მაქსიმუმ 1 წლიანი, რაც თავისთავად ზრდიდა რისკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უცხოური ვალუტების იმულებითი კონვერტაციისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა (ლარის რესურსის ხელმიუწვდომლობამ) მიკროსაფინანსო ბაზარზე გამოიწვია საკრედიტო პორტფელის შემცირება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია საპროცენტო განაკვეთის მომენტალური გაორმაგება, წლიურ 18%-მდე ჩამოსული სალომბარდე სესხების საპროცენტო განაკვეთი მომენტალურად გაიზარდა 36%-მდე ლარში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“
მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში არ განხორციელებულ და არ ჩატარებულა არანაირი კვლევა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2023 წლის 02 ოქტომბერი:

დავით ზობოხიძე

ლევან გოდელაშვილი

დირექტორი

უფროსი ფინანსური
ოფიცერი

02 ოქტომბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

02 ოქტომბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფი“
მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში არ განხორციელებულ და არ ჩატარებულა არანაირი კვლევა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით
2023 წლის 02 ოქტომბერი:

დავით ბობოხიძე

დირექტორი



02 ოქტომბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ლევან გოდელაშვილი

უფროსი ფინანსური
ოფიცერი

02 ოქტომბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

